



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-87.87221521

თარიღი:01/06/2022

**განკარგულება №9**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის გამყოფ ზოლში მდებარე ექვსი ერთეული 1.0 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის გამყოფ ზოლში მდებარე ექვსი ერთეული 1.0 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 50.04.42.610; 50.04.42.607; 50.04.42.608; 50.04.43.778; 50.04.43.780; 50.04.43.781) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გარე რეკლამის (ბილბორდი, ბანერი) განთავსების მიზნით ერთ ლოტად გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასური:

ა) 1 (ერთი) კვ.მ თითოეული მიწის ფართობის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - **150.0 (ასორმოდრამით)** ლარის ოდენობით.

ა.ა) შესაბამისად, 6 (ექვსი) კვ.მ მიწის ფართობის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - **900 (ცხრაასი)** ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 10 (ათი) წელი.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს

საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში ( ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

